ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

ძვირფასო მასწავლებელო,

ეს კინგსის გასული სეზონის **საოლიმპიადე ამოცანებია,** რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც საკლასო აქტივობებისას, **ასევე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს.**

კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულის სეზონზე **რეგისტრაცია უკვე დაიწყო.** მოსწავლე **დასარეგისტრირებლად უნდა ეწვიოს ბმულს: www.kings.ge**

რომელ საგნებში ტარდება ოლიმპიადა?

კინგსის ოლიმპიადა წელს 6 საგანში ტარდება: მათემატიკა, ინგლისური, ქართული, ბუნება, ისტორ ია და ინტელექტი.

რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწლეობის მიღება?

კინგსის მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის ოლიმპიადაზე 2-დან მე 12 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ბუნების ოლიმპიადა მე-2, მე-3 და მე-4 კლასელებისათვის, ისტორიის ოლიმპიადა მე-5 კლასიდან ზემოთ, ხოლო ინტელექტის ოლიმპიადა მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ტარდება.

ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ: https://kings.ge/news/1058

კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-2 კლასი

1. რამდენი ფეხი აქვს სამ კატას ჯამში? A. 12 B. 6 C. 8
2. გამოიცანით გამოტოვებული ისარი: ← ↑ → ↓ ← ...→ ↓ ← ↑ A) ← B) ↑ C) ↓
3. ჩამოთვლილთაგან რომლის მნიშვნელობა განსხვავდება დანარჩენი ორისაგან?
   A. 11+2 B. 9+4 C. 10+5
4. რამდენი სამკუთხედია ნახაზზე?



A.2 B. 1 C. 3

5. გამოიცანით რომელი რიცხვია გამოტოვებული 5, 7, 9, . , 13 A. 17 B. 15 C. 11

6. რა უფრო ძვირია 3 სამლარიანი საზამთრო, თუ 2 ხუთლარიანი საზამთრო?

A. 3 სამლარიანი საზამთრო;

B. 2 ხუთლარიანი საზამთრო;

C. თანაბარი ფასი აქვს.

7. გამოთვალეთ 8-7+6-5+4-3+2-1 A. 4 B. 3 C. 5

8. მოცემული ნახატის მიხედვით, რამდენი კუბიკი სჭირდება მათეს 3 სართულიანი კიბის ასაშენებლად?



A.1 B. 5 C. 6

9. რამდენი გვერდი აქვს ჯამში 1 სამკუთხედს და 1 ოთხკუთხედს? A.10 B. 14 C. 7

10. კიბეს 11 საფეხური აქვს. რომელ საფეხურზე უნდა დავდგეთ იმისთვის, რომ კიბის შუაში აღმოვჩდნეთ?

A. მეექვსე B.ცალი ფეხით მეხუთეზე, ცალით მეექვსეზე C. მეხუთე

ბონუს დავალებები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. **მაგთის ბონუს შეკითხვა**

   ერეკლე მაგთის მობილურ ინტერნეტში ყოველ თვე 4 ლარს იხდის. რამდენი ექნება მას გადახდილი 3 თვეში?

   A. 16 ლარი B. 8 ლარი C. 12 ლარი

2. ბავშვები სპორტის გაკვეთილზე ერთ რიგად განლაგდნენ. ნიკას წინ 15 მოსწავლეა, ხოლო უკან 9. სულ რამდენი მოსწავლეა ერთ რიგად განლაგებული?

   A.25 B.23 C.24

3. სალომეს, გიორგის და ლაშას წლოვანებების ჯამი არის 40. რა იქნება მათი წლოვანებების ჯამი 2 წლის შემდეგ?

   A.48 B.44 C.46